თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5204017

ნომერი: AR1788863

თარიღი : 26.11.2020

გაცემის თარიღი : 27.11.2020

გაცნობის თარიღი : 09.12.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხაი-ზიჩი , N4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ცაავა პ/ნ 01024060610
- პეკინის ქუჩა 14ა ბინა 40

ნომენკლატურა :

- საკულტო ობიექტები
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თეიმურაზ ცაავა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი.
პასუხად გაცნობებთ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ზემოთ ხსენებულ მისამართზე მდებარე შენობა-ნაგებობებს მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი
ძეგლის სტატუსი. ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად, თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ არასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება, ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე არ ვრცელდება მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება და
თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ამასთან ვინაიდან ნაკვეთზე მოწონებულია სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი და გაცემულია ძეგლზე სამუშაოების ნებართვა საჭიროა ქმედებებში აირჩიოთ> შეთანხმებული პროექტის ცვლილება (გათვალისწინეთ, რომ ატვირთული უნდა იყოს მხოლოდ ძეგლის მიწის ნაკვეთის დოკუმენტაცია). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს თქვენი მოთხოვნის შესახებ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.